ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №38

აბაშა, 2023 წლის 18 ივლისი

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის III კვარტლის
სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა:

1. დამტკიცდეს აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის III კვარტლის სამუშაო გეგმა დანართის შესაბამისად.
2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს (გ. ხოშტარიას), საკრებულოს ფრაქციების თავმჯდომარეებს, საკრებულოს კომისიების თავმჯდომარეებსა და აპარატის უფროსს (გ. ხურცილავას).
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს სენაკის რაიონულ სასამართლოში მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მისამართი: ქ. სენაკი, რუსთაველის ქ. №247).
4. განკარგულება ძალაშია მიღებისთანავე.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის

მოვალეობის შემსრულებელი: გელა ხოშტარია

დანართი

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის III კვარტლის სამუშაო გეგმა

№	განსახილველი საკითხის დასახელება	განხილვის დრო	სხდომაზე გამომტანი პასუხისმგებლი პირი (კომისია, ფრაქცია)
1.	აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ანგარიში 2023 წლის 6 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.	აგვისტო	დ. ცანავა
2	აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, ძეგლთა დაცვისა და ტურიზმის განვითარების სამსახურის ანგარიში 2023 წლის 6 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.	აგვისტო	კ. კუჭუხიძე
3	აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის ანგარიში 2023 წლის 6 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.	აგვისტო	კ. კუჭუხიძე
4	აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური პოლიტიკისა და მუნიციპალური სერვისების სამსახურის ანგარიში 2023 წლის 6 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.	სექტემბერი	გ. კუცია გ. მიგინეიშვილი
5	აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ანგარიში 2023 წლის 6 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.	სექტემბერი	ტ. ხოშტარია
6	აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და ურბანული განვითარების სამსახურის ანგარიში 2023 წლის 6 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.	სექტემბერი	გ. კუცია გ. მიგინეიშვილი

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის

მოვალეობის შემსრულებელი: გელა ხოშტარია